საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 97 2022 წლის 21 იანვარი ქ. თბილისი

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ

ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახებისათვის ზამთრის პერიოდში გათბობით უზრუნველყოფის მიზნით:

ა) საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ იმ ოჯახებისათვის, რომლებიც არ არიან დარეგისტრირებულნი ბუნებრივი აირის აბონენტებად, თითოეულ ოჯახზე 200 (ორასი) ლარის გასაცემად, „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან მუნიციპალიტეტებს გამოუყოს 214 400 (ორას თოთხმეტი ათას ოთხასი) ლარი, კერძოდ:

ა.ა) წალენჯიხის მუნიციპალიტეტს – 91 000 (ოთხმოცდათერთმეტი ათასი) ლარი;

ა.ბ) ონის მუნიციპალიტეტს – 58 200 (ორმოცდათვრამეტი ათას ორასი) ლარი;

ა.გ) დუშეთის მუნიციპალიტეტს – 57 200 (ორმოცდაჩვიდმეტი ათას ორასი) ლარი;

ა.დ) საჩხერის მუნიციპალიტეტს – 8 000 (რვა ათასი) ლარი;

ბ) დაევალოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს „საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით მისთვის „მოსახლეობის ელექტროენერგიითა და ბუნებრივი აირით მომარაგების გაუმჯობესების“ (პროგრამული კოდი: 24 15) პროგრამით გათვალისწინებული ასიგნებებიდან სათანადო რესურსის მიმართვა იმ ოჯახებისათვის, რომლებიც დარეგისტრირებულნი არიან ბუნებრივი აირის აბონენტებად და თითოეულ აბონენტზე 200 (ორასი) ლარის დარიცხვის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება, ამ განკარგულების „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე მიწოდებული სიების შესაბამისად;

გ) დაევალოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, ამ განკარგულების „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების მიზნით, უზრუნველყოს დარეგისტრირებული ბუნებრივი აირის აბონენტების სიების საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის მიწოდება.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**